სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 სექტემბერი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/183

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საბიბლიოთეკო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილისა და დროის განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის №01-08/852 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საგაზაფხულო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის, საწარმოო პრაქტიკის განხორციელებისა და კვალიფიკაციის მინიჭების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის №01-02/210 ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე" შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფების შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 14 სექტემბრის №01-02/175 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციათა აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 მარტის №01-02/62 ბრძანების, „ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 18 სექტემბრის №01-14/549 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2026 წლის 21 სექტემბრის №1274938 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საბიბლიოთეკო საქმე“** (მე-4 დონე) **პროფესიულ სტუდენტთა** შეფასების მიზნით (2025 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის) **შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ნათია ბურჭულაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე“ <u>პროგრამის ხელმძღვანელი,</u> პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
ბ) **ეკა ნაროზაშვილი** - ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, დამუშავება - დაკომპლექტების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, დამსაქმებელი;
გ) **ანა გორგილაძე** - ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილების ბიბლიოთეკარი, <u>დამსაქმებელი;</u>

დ) **ჟუჟუნა მამუჭაძე** - ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილების ბიბლიოთეკარი, დამსაქმებელი.

2. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საბიბლიოთეკო საქმე“** (მე-4 დონე) **პროფესიულ სტუდენტთა** შეფასება მიზნით (2025 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის) **შეფასების ადგილი და დრო განისაზღვროს შემდეგნაირად - 2026 წლის 25 სექტემბერი, 11:00 საათი** (მისამართი: ქ. ბათუმი, ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35).

3. შუალედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის №01-08/986 ბრძანებით.

4. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას), უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).

6. წინამდებარე ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თ. სირაძეს), ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორის მოადგილე,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ სირაძე**